

დაგეგმარების საფუძველი და მიზნის აღწერა:

პროექტის მიზანია საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული ორი სავადმყოფოს, შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრისა“ 02(5) და სს "ქ. ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკურ ცენტრის"05(2) ადმინისტრაციისთვის დამაკავშირებელი მიწისპირა გალერეის აშენება. მიწისპირა გალერეა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი დააკავშირებს 02(5) შენობის პირველ სართულს 10(1) შენობის პირველ სართულთან, ხოლო მეორე ნაწილი გალერეის 10(1) შენობის პირველ სართულს 05(2) შენობის პირველ სართულთან. გალერეის ორივე ნაწილის დაშენება მოხდება არსებულ მიწისქვეშა დერეფანზე. დაგეგმარება მოხდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. თანამედროვე გეგმარების პრინციპების და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობის აღწერა:

საპროექტო ტერიტორია (61546 მ2) მდებარეობს მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №85; №83ა. საკადასტრო კოდი 03.01.22.324. საპროექტო ტერიტორიაზე მოხვედრა ძირითადად ხდება ჩრდილოეთიდან ჯავახიშვილის ქუჩის მხრიდან. აგრეთვე მეორეხარისხოვანი შესასვლელი აქვს აღმოსავლეთით მოსაზღვრე ბუხაიძის მეორე მიკრო რაიონის მხარეს. დასავლეთ მხრიდან ტერიტორიას ესაზღვრება ირ. აბაშიძის გამზირი, ხოლო სამხრეთის მხრიდან კერძო ნაკვეთები. ტერიტორია ხასიათდება სწორი რელიეფით. ნაკვეთი ნაწილობრივ გამწვანებულია. საპროექტო არეალი თავისუფალია ხე-ნარგავებისგან.

პროექტის კონცეფცია, იდეა:

პროექტის კონცეფცია მდგომარეობს თანამედროვე პრინციპებით დაგეგმარებული გალერეის მოწყობაში. კომფორტული, ფუნქციურად გამართული, სასიამოვნო და უსაფრთხო გარემოს შექმნაში.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

ტერიტორიაზე დაპროექტებულ ახალი 1 სართულიანი შენობა ფუნქციურად წარმოადგენს დერეფანს რომლითაც შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის“ და სს "ქ. ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკურ ცენტრის" ადმინისტრაცია ისარგებლებს. საპროექტო გალერეა კომფორტულ გარემოს შეუქმნის მომუშავე თანამშრომლებს. მიწისპირა გალერეა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი დააკავშირებს 02(5) შენობის პირველ სართულს 10(1) შენობის პირველ სართულთან, ხოლო მეორე ნაწილი გალერეის 10(1) შენობის პირველ სართულს 05(2) შენობის პირველ სართულთან. გალერეის ორივე ნაწილის დაშენება მოხდება არსებულ მიწისქვეშა დერეფანზე. იატაკებს შორის სხვაობა 1,88 მეტრია რის გამოც საპროექტო პირველი შენობის იატაკი 6 %-იანი დახრით არის მოწყობილი. პირველი შენობა, დერეფანი იწყება შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის“ იატაკის ნიშნულიდან 140,7-მ-დან და 6%-იანი ქანობით უერთდება შენობა # 10(1), შენობა #10(1)ში მოეწყობა დერეფანი ასევე 6%-იანი ქანობით. ახალი მეორე შენობა სწორი ზედაპირით შეუერთდება სს "ქ. ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკურ ცენტრის"05(2) შენობას. #05 და #10 შენობების იატაკები ერთ ნიშნულზე +138,82 -ზეა ზღვის დონიდან. მიშენება /დაშენება განხორციელდება არსებულ მიწისქვეშა რკინაბეტონის დერეფნების თავზე. ახალი დაშენება მსუბუქი კონსტრუქციით მოეწყობა. საპროექტო გალერეის პირველ შენობას ექნება ქანობიანი გადახურვა, რომლის დახრა 6% შეადგენს. ხოლო მეორე დაშენების ქანობი 2%-ს შეადგენს. საწვიმარი მიწები მოწყობილი იქნება უკანა ფასადზე. ტერიტორია გააჩნია შიდა სატრანსპორტო გზები რომელთა სიგანე არანაკლებია 4,2 მ-ზე რაც უზრუნველყოფს სახანძრო მანქანის დაუბრკოლებელ მისადგომობას ტერიტორიაზე განთავსებულ თვითოეულ კორპუსთან და მათ შორის რა თქმა უნდა საპროექტო შენობასთან, რომლის პროექტირებაც იგეგმება არსებულ # 02; #10 და #05 შენობებს შორის. ამასთან არსებული ტერიტორიაზე მთლიანად ასფალტ/ბეტონის საფარია და შეუზღუდავია მანქანით გადაადგილება. (იხილეთ გენგეგმა)

არსებული და საპროექტო შენობის განაშენიანების პარამეტრები:

საპროექტო ორი შენობა 1 სართულიანებია, #1 შენობის გაბარიტებია 20,2X2,77 მ. ხოლო #2-ის_11,23X2,87 მ. საპროექტო განაშენიანების ფართია 88,19 მ2.

$$კ-1=10238,86(არსებული)+88.19(საპროექტო)=10327.05/61546=0,168$$
$$კ-1=0,2$$
$$კ-2=35924,23(არსებული)+88.19(საპროექტო)=36012.42/61546=0,585$$
$$კ-2=0,6$$
$$კ-3=0.4$$

ფორმატი PAPER SIZE	დოკუმენტი № CONTRACT №	პროექტის № PROJECT №	ფაილის სახელი FILE NAME
A3
პროექტით აღნიშვნები			LEGEND
შენიშვნები			NOTES
სიტუაციური სქემა KEY PLAN			